

26.12.18

თავმჯდომარე. გმადლობთ. ხომ არ არის რედაქციული ხასიათის შენიშვნები, შეკითხვები. განხილულია. გმადლობთ. შემდეგი საკითხი მე-2 საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ I მოსმენით განიხილება. ბატონი აკაკი ზოიძე წარმოადგენს კანონპროექტს.

ა.ზოიძე. ბატონო თავმჯდომარე, უკაცრავად. წარმოგიდგინებ „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტს I მოსმენით. კანონი ეხება, მიზეზი გახლავთ ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტზე აქციზის დიფერენციული განაკვეთის გათანაბრების აუცილებლობა და მე ორიოდე სიტყვით გეტყვით რითი არის გამოწვეული ამ გათანაბრების აუცილებლობა. პირველი, ზოგადად, მინდა გითხრათ, რომ აქციზი წარმოადგენს ერთ-ერთ ეფექტიან საშუალებას იმისათვის, რომ ჩვენ ამ ქვეყანაში შევამციროთ თამბაქოს მოხმარება, გლობალურად მთელი მსოფლიოს გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ აქციზის დაახლოებით 10%-ითმატება იწვევს შესაბამისად 3%-მდე მოხმარების შემცირებას განვითარებულ ქვეყნებში და 5-დან 8%-მდე განვითარებად ქვეყნებში, როგორც არის საქართველო ამ შემთხვევაში, სადაც ფასის მიმართ მგრძობიარობა მოსახლეობის მომხმარებლების ზომა უფრო მაღალია. საერთოდ ფასის ელასტიურობა თამბაქოზე არის მიჩნეული საშუალოდ, გლობალურად - 0,5, რაც ნიშნავს იმას, რომ ყოველი, ვთქვათ, 10 ლარითმატების შემთხვევაში, 10%-ითმატების შემთხვევაში 5%-ით მცირდება შესაბამისად მოხმარება. მაგრამ ეს გათვლები გათვლილია იმაზე, რომ თამბაქოს პროდუქტების ნებისმიერ პროდუქტზე ხდება თანაბარზომიერად შესაბამისად აქციზის მიყენება. როგორც იცით ეს თამბაქოს ძირითადი პროდუქტები, რომელიც საქართველოში მოიხმარება ეს არის უფილტრო და ფილტრიანი სიგარეტი. დღესდღეობით რაც მოქმედებს, რაც არის, რეჟიმი გახლავთ ის, რომ უფილტრო სიგარეტზე არის 60 თეთრი ფიქსირებული აქციზი, ხოლო ფილტრიანზე გახლავთ 1,70 ლარი 20 ღერზე. განსხვავება არის 1,10 ლარი. ეს რეჟიმი მოქმედებდა თავის დროზე მთელი ამ წლების განმავლობაში იმ მოტივით, რომ, ვთქვათ, უფილტრო სიგარეტს ძირითადად აწარმოებს



ადგილობრივი მრეწველობა და შესაბამისად, გარკვეული შეღავათი ჰქონდა ამითი ადგილობრივ მრეწველობას. ფასში იყო განსხვავება და ფასში ეს განსხვავება აძლევდა გარკვეულ კონკურენტულ უპირატესობას, გასაგებია, ფილტრიანთან შედარებით, რომელიც ძირითადად არის მსხვილი კომპანიებისგან, ცნობილი კომპანიებისგან საქართველოში. ეს განსხვავება წლების განმავლობაში არსებობდა. ბოლო 5 წელიწადია მინიმუმ, მაგრამ, იმავდროულად, ბოლო პერიოდში მოხდა ისეთი ნოუ ჰაუს შემოღება, რომლითაც უფილტრო სიგარეტი იყიდებოდა უფილტროდ, მაგრამ იმავდროულად ხდებოდა ჩუქება მომხმარებლისთვის ფილტრების, რომელიც ადვილად მონტაჟდებოდა. შესაბამისად, მერე უფილტრო სიგარეტზე და პრაქტიკულად საბოლოოდ მოიხმარებოდა, როგორც ფილტრიანი სიგარეტი. რაღაცნაირად გამოდიოდა, რომ ეს არის საკანონმდებლო ხვრელი, რომ თავი აარიდო მეტი გადასახადის გადახდას ბიუჯეტში, მაგრამ არანაკლებ თუ მეტად მნიშვნელოვანი იყო ის საკითხი, რომ ის ეფექტი, რომელიც უნდა ჰქონდეს აქციზის მომატებას, რომელიც ჩვენ, მაგალითად, 2017 წელს მოვუმატეთ თამბაქოზე აქციზი და ამის შედეგად ველოდებოდით, რომ 5%-ით მაინც უნდა შემცირებულიყო შესაბამისად მოხმარება, იმიტომ, რომ ადამიანები, ერთის მხრივ, მომხმარებლები ან ნაკლებს ეწევიან, ეს არის ნაჩვენები ათასობით კვლევით მსოფლოში ან ხდება განსკუთრებით ღარიბი მოსახლეობის მხრიდან დანებება მოწვევაზე თავი, რაც არის საბოლოო ჯამში ჩვენი ამოცანა, როგორც სახელმწიფოსი, როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის მესვეურების, რათა შემცირდეს ის ზიანი, რომელიც მოაქვს თამბაქოს ამ ქვეყნისათვის. შეგახსენებთ, ეს გახლავთ 11400 ადამიანი, გარდაცვლილი ყოველწლიურად, მინიმუმ 15 წლით ადრე. ანუ მთლიანად იღუპება 50 000 ადამიანი ამ ქვეყანაში საშუალოდ და აქედან მეხუთედი იღუპება თამბაქოთი გამოწვეული დაავადებების შედეგად, ნაადრევი სიკვდილობით. ეს არის კატასტროფა მინდა გითხრათ და 825 მილიონი წმინდა ზარალი, რომელსაც განიცდის ეს ქვეყანა ჯანდაცვის დანახარჯებიდან და ეკონომიკური პროდუქტიულობის დანაკარგებიდან, რომელიც არის თამბაქოს მოხმარების შედეგად. ეს არის გათვლები, რომელიც გააკეთა გარემოს განვითარების ფონდმა, ინგლისის ლონდონის ეკონომიკის სკოლასთან და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასთან ერთად, კანკრეტულად საქართველოზე და სწორედ თამბაქოს აქციზის მატება შედეგად 5 წლის განმავლობაში, როგორც არის დაგეგმილი ჩვენი ვალდებულება არის,



ევროინტეგრაციის პროცესში, ევროდირექტივის მიხედვით ჩვენ ვალდებული ვიქნებით, 2024 წლისთვის თანდათანობით აქციზი გავზარდოთ დღევანდელი დონიდან 90 ევრომდე, ყოველ ათას ლერზე, რაც ნიშნავს დაახლოებით, დაახლოებით კი არა, ზუსტად 1,8 ევროს თითოეულ 20 ლერზე, რომელიც უნდა იყოს არანაკლებ 60% ასევე მთლიანი თამბაქოს ფასისა. აი ეს არის ის ვალდებულება, ჩვენ ალბულები გვაქვს და ამ ვალდებულებას უნდა მიუახლოვდეთ ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ. ამ ვალდებულების განხორციელების შედეგად ამავე გათვლებით და ამავე ორგანიზაციებით, რაც გითხარით, ამ ქვეყანაში შემდეგი 15 წლის განმავლობაში მოხდება 35000 ადამიანის ნაადრევი სიკვდილისგან გადარჩენა, 2,2 მილიარდი ლარის წმინდა ეკონომიკური სარგებელი. აი ეს არის რასაც ველოდებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნება გათანაბრებული ამავე პერიოდში აქციზები და არ იარსებებს იაფფასიანი ჩამნაცვლებელი. ანუ, ეს ეფექტები მიიღება იმ შემთხვევაში, თუ ადამიანს არ შეეძლება ერთი ფასის სიგარეტიდან გადავიდეს მეორე ფასის სიგარეტზე და ყველა თამბაქოს პროდუქტი იქნება თანაბრად ძვირი. ასე, რომ ჩვენი ამოცანა ამ შემთხვევაში არის სწორედ გათანაბრება, რომ ერთი მხრივ აი ეს პირველი ამოცანა სწორედ გახლავთ ის, რომ მივიღოთ ის ეფექტი, რასაც ველოდებით, ანუ ადამიანების სიცოცხლეების გადარჩენა, ჯანდაცვის დანახარჯების შემცირება, ადამიანების სიღარიბიდან შემცირება იმიტომ, რომ სიღარიბის ერთ-ერთი ფაქტორია უკიდურეს ღარიბ ადამიანებს სიგარეტის ხარჯებია, რომელიც სწორედ მას აქცევს, აგდებს უკიდურეს სიღარიბეში, ეს ის თანხაა, რომელიც აკლდება მას და მის ოჯახს, იგივე სხვა გადაუდებელი კი არა, გადაუდებელი რეალური საჭიროების დაკმაყოფილებაში, რაც არის საკვები, ჯანმრთელობის მომსახურება თუ სხვა ტიპის საჭიროებები. შესაბამისად ეს ნაბიჯი, რომელსაც ვთავაზობთ არის ყველანაირად გამართლებული საზოგადოებრივი ჯანდაცვითი კუთხით და იმავდროულად ველოდებით, რომ ამ საკანონმდებლო ცვლილების შედეგად ჩვენ მივიღებთ 45 მილიონ ლარს დამატებით საქართველოს ბიუჯეტში, რომელიც შეიძლება მიემართოს განათლებაზე, პენსიებზე, ჯანმრთელობის დაცვაზე. ჩვენ ეს ჯანდაცვის კომიტეტში არაერთხელ გაგვიცხადებია შარშან, წელს, როდესაც ფინანსთა სამინისტრო, მთავრობა გვეუბნებოდა, რომ აი საიდან დავაფინანსოთ მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის პირთა 20 დაწესებითი, 20 ლარი, მეორე ჯგუფის, როდესაც ეს თავიდან თავდაპირველად ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული არ იყო. ეს იყო კონკრეტული უკარო ზუსტად



ამდენი თანხა სჭირდებოდა, 45 მილიონი ეს გახლავთ, 40 მილიონი კოლოფი უფილტრო სიგარეტი, რომელიც შარშან მოიხმარა და ჩვენმა მოქალაქეებმა, შესაბამისად დაახლოებით ამ თანხას ველოდებით, რომ შემოვა დამატებით ბიუჯეტში, შესაძლოა მაქსიმუმ თანხა განსხვავება იყოს 43 მილიონამდე იმიტომ, რომ თუ 5% შემცირდება შესაბამისად მოხმარება, რაც ასევე არის ჩვენი მოსალოდნელი და სასურველი ეფექტი. ანუ შემდეგი, ვთქვათ, პირველ ერთ წელიწადში ეს ორი მილიონი არ მოაკლდება, ალბათ, ეს მოაკლდება თანდათანობით, ვთქვათ, შემდეგი წლის ბოლომდე 2020 წლის ბოლომდე, როდესაც ადამიანები მიიღებენ გადაწყვეტილებას მოხმარების შემცირების ან დანებების თაობაზე. აი ეს არის ძირითადი არსი ამ ცვლილებებისა და პრინციპში მზად ვარ, ანუ საუბარია, რომ უნდა ჩამოვაცალიბოთ პრინციპი 60 თეთრიდან უფილტრო სიგარეტზე ფიქსირებული აქციზი გაიზარდოს ლარი და 70, ყოველ 20 ღერზე ისე, როგორც ეს არის ფილტრიან სიგარეტზე. აქ მე ასევე ვალდებული ვარ, წარმოვადგინო ის ნაწილი, რომელიც ეხება რანგეატიური ეფექტები შეიძლება ამას მოჰყვეს, ნეგატიური ეფექტი მოსალოდნელი შესაძლოა იყოს ის, რომ უფილტრო სიგარეტის წარმოება ძირითადად არის კონცენტრირებული, ძირითადად იმპორტული, ხოლო „ჟიტანი“ შემოდის და კიდევ რამდენიმე სხვა ძალიან იშვიათი ბრენდი, ძირითადად კონცენტრირებულია ადგილობრივ წარმოებაში, სადაც დასაქმებულია მთლიანობაში 4000 ადამიანი, უშუალოდ წარმოებაში აქედან დისტრიბუციაშია ნაწილი, აქედან სხვა მიმართულებით, უშუალოდ წარმოებაში და 1000-მდე ადამიანი, როგორც ჩვენ გვაქვს ეს მონაცემები, ხოლო თამბაქოს თვითონ წარმოებაში და შესაძლოა, რომ იმ პირობებში, როცა დაკარგავს ასეთ კონკურენტულ უპირატესობას ფასში, ამ შესაძლოა შემცირდეს წარმოება და შესაბამისად ნაწილი ამ ადამიანების, დარჩეს უმუშევარი. მაგრამ აქ კოლეგებო, ვთქვათ, გაითვალისწინოთ, რომ სასწორის ერთ პინაზე დევს მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობა, 11000 ადამიანის ჯანმრთელობა, სიცოცხლე დანაკარგები ეკონომიკური მთლიანად სახელმწიფოსთვის, მათ შორის ჯანდაცვის დანახარჯები საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან და მეორე ბინაზე გახლავთ ამ შემთხვევაში 1000 ადამიანის სამუშაოს ბედ-იღბალი, რომელიც ნუ, ალბათ, შესაბამის გადამზადების პროგრამები თუ ამის საჭიროება ჩაითვლება, მთავრობას ამას მოვილაპარაკებთ, მათ მივცეთ საშუალება, რომ გადამზადდნენ სხვა ტიპის წარმოებაში, დასაქმდნენ იმიტომ, რომ ეს მთელ მსოფლიოში მიმართულია ასეთია. დღეს ერთ-ერთი უდიდესი თემა გახლავთ სწორედ, როდესაც



მთელი მსოფლიო ებრძვის გლობალურ ეპიდემიას თამბაქოსი, როგორ მოხდეს განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც თამბაქოს წარმოება და თამბაქოს, ასე ვთქვათ, დიდი შემოსავლები აქვს თამბაქოს კულტივირებას, როგორ მოხდეს ალტერნატიული კულტურებით ამის ჩანაცვლება, იმ ადამიანების გადანაცვლება ეკონომიკის სხვა სექტორებში, ანუ ეს არის მთელი მოძრაობა, რომელიც მთელ მსოფლოში ამჟამად თამბაქოს ეპიდემიასთან ბრძოლის პარალელურად მიმდინარეობს და არის ჩარჩო-კონვენციით თამბაქოს კონტროლი ჩვენი ვალდებულება, ეს ვალდებულება რომ გავათანაბროთ აქციზი არის რეკომენდირებული ამ ჩარჩო-კონვენციით, ეს არის ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის პირდაპირი რეკომენდაცია, რომლის განაცხადიც გაკეთდა სულ რაღაც 2 კვირის წინ ასევე და შესაბამისად არის ასევე ჩვენი ვალდებულება, რომელიც აღებული გვაქვს სავალდებულო ევროდირექტივით, ჩვენთვის სავალდებულო ევროდირექტივით, რომელიც ეხება აქციზური, აქციზურ დაბეგვრას თამბაქოს პროდუქტების. რომელსაც ჰარმონიზაცია ჩვენი ვალდებულება არის, რომელსაც უკვე ამ ნაწილში ვალდებულება შესრულებული არა გვაქვს, ხოლო ის ნაწილი, რომელიც ეხება აქციზის ზომას, ეს ნაწილი დასრულდება 2024 წელს. აი ეს არის, როგორც ძირითადი პრინციპები და ის მოსალოდნელი შედეგები, რომელიც პოზიტიურად ნეგატიურად შეიძლება ამ ცვლილებას მოჰყვეს. მზად ვარ ვუპასუხო შეკითხვებს.

თავმჯდომარე. გმადლობთ. შეკითხვები მომხსენებელთან. ბატონი პაატა კვიციანიძე გთხოვთ.

პ.კვიციანიძე. მოგესალმებით, კოლეგებო. ბატონო აკაკი, თქვენ მოგეხსენებათ, რომ ჩვენ „საბაჟო კოდექსი“ არ გავიტანეთ, სრულიად სამართლიანად დეპუტატების მოთხოვნით არ შეიძლებოდა დაჩქარებულად წასულიყო, მაგრამ მას ახლდა კანონები, რომელიც ყველანი არ იყო დაკავშირებული თვითონ „საბაჟო კოდექსთან“ და უბრალოდ დროის გატაცებას ითვალისწინებდა, მაგალითად, „საგადასახადო კოდექსი“, კერძოდ იქ არის საკითხები, რომელზედაც როგორც ოპოზიცია, პოზიცია თანხმობაში ვიყავით ყოველთვის და თუ ეს არ მოხდა, ახლა შეიძლება რაღაც ზიანი მოგვადგეს. კერძოდ, რა მაქვს მხედველობაში: ეს არის 2008 წელს და ომის და შემდეგ კრიზისის შემდეგ შეჩერებული მშენებლობები, რომელიც ძალიან მძიმე მდგომარეობაში არის და ჩვენ 14 წელში მივიღეთ კანონი, უფრო სწორად 15 წლიდან ამოქმედდა კანონი, საგადასახადო სელაქსაცია



ვამლევდით კერძოდ, კონკრეტულ კორპუსზე თუ ობიექტზე დღგ-სგან ვათავისუფლებდით, ეს შემდეგ გავაგრძელებთ და ახლა დრო გადის რამოდენიმე დღეში და ეს აუცილებლად გასაგრძელებელია, 22 წლის ჩათვლით მაინც, რომ ვინც დაიწყო მშენებლობა და დაგვიჯერა, რომ მათ ეს ბოლომდე მიიღონ ეს სარგებელი და ბოლოს და ბოლოს ეს შენობები დამთავრდეს. თავის დროზე შეგახსენებთ, რომ ამას ყველამ დაუჭირა მხარი ოპოზიციამაც, პოზიციამაც. მეორე არის სავალუტო ფონდმა, ფონდთან იყო დიდი ხნის მოთხოვნა არის და რეკომენდაცია, რომ ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი გადასახადები, საგადასახადო ჯარიმები გვაქვს ძალიან დიდი და წარმოდგენილი იყო იქ შემცირებული სახით და ძალიან კარგია, თუ ამასაც მივიღებდით და ბოლოს, 2014 წლამდე თუ ბანკი აპატიებს სესხს მოქალაქეს, მოქალაქე განთავისუფლებული გვყავდა საშემოსავლო გადასახადიდან და ამის აწევა ხდებოდა 2019 წლის 1 იანვრამდე. ესენი ყველანი ხალხისთვის სასიკეთო თემებია და იქნებ ამ საგადასახადო კოდექსში, რასაც თქვენ იხილავთ, იქ გაგვეთვალისწინებინა. გმადლობთ.

თავმჯდომარე. გმადლობთ. ბატონი გურამ მაჭარაშვილი.

გ.მაჭარაშვილი. მადლობა. ბატონო კაკი, პირველ რიგში მინდა, რომ პრინციპების დონეზე დაგეთანხმობთ ამ ცვლილებებში იმიტომ, რომ ნამდვილად ჩვენი მიზანი გახლავთ ის, რომ პირველ რიგში რაც შეიძლება ნაკლები მწვეველი გვყავდეს საზოგადოებაში, თუმცა ეს გარკვეული თვალსაზრისით რაღაცა რეგულაციებით უნდა დარეგულირდეს, ის, რომ ვთქვათ, ეს ფასი, ფიქსირებული ფასი უნდა გაიზარდოს ლარი და 70-მდე, ეს პრინციპულად სწორია და გეთანხმებით, თუმცა მეორეს მხრივ ჩვენ ასევე გვყავს ადგილობრივი წარმოება, რომელიც თამბაქოს აწარმოებს, ამიტომ ადვადულ ნაწილში ხომ გადავხედავდით ამ ცვლილებაში, ამ კონკრეტულ კანონპროექტში ცვლილებას იმის თაობაზე, რომ ადვადულ ნაწილში მოემატოს 10%-ის ნაცვლად ახლა ორივეგან 10%-ია ხომ? როგორც ფილტრიანზე, ასევე უფილტროზე, ფილტრიანის ნაწილში გარკვეული ვადით იმისათვის, რომ ადგილობრივ წარმოებას რაღაცა ვადა მივცეთ, რომ გადაეწყოს აი ამ რეგულაციებზე და ვთქვათ, არ მოხდეს რაღაცნაირად მათი დაჩაგვრა ერთის მხრივ, რაღაცა პერიოდი მაგალითად, მე შემოგთავაზებდით 30% გახდეს ფილტრიან ნაწილში და დარჩეს 10% უფილტროზე მხოლოდ, ოღონდ მხოლოდ ადვადულ ნაწილში, ხოლო ფიქსირებული, რაც თქვენ ფიქსირებული, რაც თქვენ თქვით, ეს ძალიან



კარგი და საუკეთესო ვარიანტია. ეს ერთის მხრივ მოგვცემს, კიდევ ვიმეორებ, იმის საშუალებას, რა თქმა უნდა, ანუ ზრდაზე აქ საუბარი, ჩვენი მიზანია, რომ, რა თქმა უნდა, ჯანსაღი საზოგადოება იყოს, მაგრამ მეორეს მხრივ მივცეთ საშუალება ამ ადგილობრივ წარმოებას, ახლა რეგიონებიდან ვართ განსაკუთრებით მაჟორიტარები, რომ აი ეს რაღაცა პერიოდი ჰქონდეს იმისათვის, რომ გადაეწყონ აი ამ პროცესზე. დიდი მადლობა.

თავმჯდომარე. გმადლობთ. ამოწურულია კითხვები. გთხოვთ, ბატონო აკაკი.

ა.ზოიძე. კი, ბატონო. ბატონო პაატა, პაატას შეკითხვას ახლა ჩემთვის, ჩვენმა კომიტეტმა პრინციპში განიხილა ეს საბაჟო კოდექსი, თანამდევ კანონპროექტები გახლდათ, ეს განვიხილეთ, დეტალებში ვიცნობთ, რა თქმა უნდა, აი ამ ინიციატივებს, აბსოლუტურად მხარი დავუჭირეთ ჩვენ ამ ხალხისთვის სასიკეთო ცვლილებებს. იმიტომ, რომ ეს გადასახადის გადამხდელებსაც, მენაშენეებსაც, ანუ საკმაოდ ფართო წრეს უმსუბუქებს ცხოვრებას და უმსუბუქებს ფინანსურ ... შესაბამისად იმ სამართლებრივ გადაწყვეტილებებს ჩვენ, ვთქვათ, გავაგრძელებთ საბაჟო კოდექსის განხილვა, ეს ადამიანები, რა თქმა უნდა, არ უნდა დაზარალდნენ. ასე რომ პრინციპულად გეთანხმებით, შესაბამისად წარმოვადგენთ უკვე შესწორებულ ვარიანტს კანონპროექტის შესაბამისად უკვე მე-2 მოსმენისათვის, ასე რომ, ამას გავითვალისწინებთ. რაც შეეხება, ბატონო გურამ, თქვენს, ასე ვთქვათ, წინადადებას, ანალოგიური დაახლოებით წინადადება იყო წარმოდგენილი კომიტეტზე, ასევე ბატონი დაჩი ბერაიას მიერ, ჩვენ გვქონდა დრო, რომ გაგვეარა გარკვეული კონსულტაციები, ასევე, საქართველოს მთავრობასთანაც, რამდენად, ვთქვათ, იმიტომ, რომ მოტივაციაა, ახლა წმინდა ეფექტი ამ ცვლილებების, საბოლოო ჯამში იქნება აქციზის მატება, ნებისმიერ შემთხვევაში, რაც არის ჩვენი ამოცანა და ჩვენი მოთხოვნა იმისათვის, რომ სადაზღვევო ჯანდაცვის კუთხით ეს პროცესი წავიდეს წინ მიმართულებით, რაც გვინდა, რომ ამ ქვეყანაში ... ეპიდემია შევაჩეროთ და სიკვდილს გადავარჩინოთ. და იმავდროულად თუ ეს დროებით იქნება მთავრობასთან, ამაზე გვქონდა საუბარი, რომ მაინც აქციზი გასაზრდელი იქნება 2024 წლისთვის და ამ პერიოდისთვის უკვე გათანაბრდება აქაც, ამ ნაწილშიც, მაშინ ეს რაღაცა გარკვეული, ასე ვთქვათ, საშეღავათო პერიოდის მიცემა იმისათვის, რომ ჩვენ ათასი ადამიანის სამუშაო ადგილი არ დავკარგოთ. მე, როგორც ინიციატორი და ჩვენს



ინიციატორებსაც ასე გავუზიარეთ დანარჩენებსაც ეს თემა და პრინციპში ვეთანხმებით, დანარჩენი მერე უკვე წარმოვადგენთ მე-2 მოსმენისათვის, ვიმსჯელოთ უკვე კომიტეტის ფორმატშიც და მერე უკვე მე-2 მოსმენაზე ვიმსჯელოთ ასევე ამ თემაზე პლენარულ სხდომაზეც. მადლობა.

თავმჯდომარე. გმადლობთ, დაზუსტებები არ არის, თანამომხსენებელს ხომ არ სურს გამოსვლა? კომიტეტები, დეპუტატები, ფრაქციები, უმცირესობა, უმრავლესობა, განხილულია საკითხი. გმადლობთ.

